POS ტერმინალის გამოყენების ინსტრუქცია

თიბისი ბანკი
TBC BANK

POS ტერმინალის VeriFone VX680 გამოყენების ინსტრუქცია

ტერმინალის ინტერფეისი

ძირითადი ოპერაციების შესრულება

საწყის მდგომარეობაში ტერმინალის ეკრანზე აწერია: **გადახდა / PURCHASE / ОПЛАТА**

ტერმინალის მენიუს გამოძახება ხდება # ღილაკზე დაჭერით.

ტერმინალის მენიუში მოძრაობის ღილაკებია ღილაკი * და ღილაკი #

ტერმინალის მენიუში არსებული ქვე მენიუ აქტიურდება გასწვრივ მდებარე ციფრის კლავიატურაზე აკრეფით

ბარათის მატარება

მაგნიტურზოლიანი ბარათი მაგნიტური ზოლით ქვევით, ჩამოატარეთ მაგნიტური ბარათების წამკითხავ ღარში მაგნიტური ზოლით ქვევით.
ჩიპური ბარათის შემთხვევაში ჩიპით წინ შეაცურეთ ჩიპური ბარათის წამკითხველის ჭრილში.
უკონტაქტო ბარათით გადახდისას ბარათი უნდა დავადოთ ტერმინალის ეკრანს.

გადახდა / PURCHASE / ОПЛАТА

მწვანე ღილაკზე დაჭერით გამოვა მენიუ **თანხა, AMOUNT, ВВЕДИТЕ СУММУ 0,00 GEL.** შეიყვანეთ გადასახდელი თანხა, დააჭირეთ მწვანე ღილაკს შემდეგ გაატარეთ ბარათი. პინ-კოდის მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტმა უნდა შეიყვანოს პინ კოდი და დაადასტუროთ მწვანე ღილაკით წარმატებული გადახდის შემთხვევაში ტერმინალიდან ამოიბეჭდება 2 ჩეკი. მოახევთ ერთ ჩეკს და დააჭერთ მწვანე ღილაკს. შემდეგ ამოიბეჭდება მეორე ჩეკი. გადახდა წარმატებით შესრულდა თუ ჩეკზე აწერია: **დადასტურებულია, პასუხის კოდი 000, APPROVED, RESPONSE CODE: 000, ОДОБРЕНО, КОД ОТВЕТА: 000.**

> მაგნიტურზოლიანი ბარათით გადახდის შემთხვევაში აუცილებელია ქვითარზე კლიენტის ხელმოწერა

სიმარტივისთვის, ჩეკზე რომელიც უნდა იყოს ხელმოწერილი ქვედა ნაწილში არის წარწერა „კლიენტის ხელმოწერა".
როდესაც ტრანზაქცია ტარდება პინ კოდის საფუძველზე და არ საჭიროებს ხელმოწერას, მაშინ ჩეკს აწერია „pin verified" და ხელმოწერის ველი არ არის.

გადახდის გაუქმება (რევერსალი) / VOID / ОТМЕНА

კლავიატურაზე უნდა დააჭიროთ ღილაკს #, შემდეგ დააჭირეთ ღილაკს 1 **აირჩიეთ ოპერაცია, SELECT OPERATION , ВЫБОР ОПЕРАЦИИ** დააჭირეთ ღილაკს 2 **გაუქმება, VOID, ОТМЕНА** და დააჭირეთ მწვანე ღილაკს. ტერმინალის ეკრანზე გამოჩნდება წარწერა **„შეიყვანეთ ჩეკის ნომერი", ENTER CHEQUE NUMBER, ВВЕДИТЕ НОМЕР ЧЕКА** შეგვყავს გასაუქმებელი ჩეკის ნომერი და ვადასტურებთ მწვანე ღილაკით, შემდეგ ვატარებთ ბარათს, უკონტაქტო ბარათის შემთხვევაში ბარათი უნდა დავადოთ ტერმინალის ეკრანს, ეკრანზე გამოჩდება თანხის დადასტურების

მოთხოვნა, დააჭირეთ მწვანე ღილაკს, ტერმინალიდან ამოიბეჭდება ჩეკი წარწერით ოპერაციის გაუქმება **დადასტურებულია პასუხის კოდი 400, APPROVED, RESPONSE CODE: 400, ОДОБРЕНО, КОД ОТВЕТА: 400** მოახიეთ ქვითარი დააჭირეთ მწვანე ღილაკს ამოიბეჭდება მეორე ქვითარი

ანგარიშები / REPORTS / ОТЧЕТЫ

ღილაკზე დაჭერით შედით მენუში. აირჩიეთ ქვემენიუ 4 **ანგარიშები, REPORTS, ОТЧЕТЫ.** დაეთანხმეთ მწვანე ღილაკით, აირჩიეთ თქვენთვის მისაღები ანგარიშის ტიპი

1 **მოკლე SHORT, КРАТКИЙ**

2 **სრული FULL, ПОЛНЫЙ**

და დააჭირეთ მწვანე ღილაკს. ვირჩევთ 1. ვალუტის მიხედვით ან 2. ბარათის მიხედვით, ვადასტურებთ მწვანე ღილაკით.

ჩეკის ასლი / RECEIPT COPY / ОТМЕНА

ღილაკზე დაჭერით შედით მენუში. აირჩიეთ ქვემენიუ **ჩეკის ასლი, RECEIPT COPY, КОПИЯ ЧЕКА.** დაეთახმეთ მწვანე ღილაკით. დააჭირეთ ღილაკს 1 **ბოლო ჩეკი, LAST RECEIPT, КОПИЯ ЧЕКА** ამოიბეჭდება ბოლო ჩეკის ასლი. დააჭირეთ ღილაკს 2 **ჩეკის ნომრის მიხედვით, BY RECEIPT NUMBER, ЧЕК ПО НОМЕРУ.** შეიყვანეთ ჩეკის ნომერი და დაეთახმეთ მწვანე ღილაკით. დააჭირეთ ღილაკს 3 **ბოლო ბაჩის ასლი, SETTLEMENT RECEIPT, ЧЕК СВЕРКИ ИТОГОВ.** ამოიბეჭდება ბოლო ბაჩის ასლი.

შედეგების შედარება (დღის დახურვა) / SETTLEMENT / СВЕРКА ИТОГОВ

ღილაკზე დაჭერით შედით მენუში. აირჩიეთ ქვემენიუ 5 **სერვისი, SERVICE, СЛУЖЕБНЫЕ ОПЕРАЦИИ.** დააჭირეთ ღილაკს 1 **შედეგების შედარება, SETTLEMENT, СВЕРКА ИТОГОВ.** დაეთანხმეთ მწვანე ღილაკით. დააჭირეთ ღილაკს 3, ბოლო ბაჩის ასლი, **SETTLEMENT RECEIPT, ЧЕК СВЕРКИ ИТОГОВ**

დაბლოკილია / LOCKED / БЛОКИРОВАН

ბლოკის მოხსნა შესაძლებელია ორი მეთოდით:

1. ვაჭერთ მწვანე ღილაკზე. ეკრანზე გამოჩნდება წარწერა: **აირჩიეთ მომხმარებელი, SELECT USER, ВЫБОР ОПЕРАТОРА**

   1. **Admin** 2. **User**

   ვაჭერთ ღილაკ 2-ს ანუ ვირჩევთ **User**, შეგვყავს პაროლი: **0000**, ვადასტურებთ მწვანე ღილაკით
2. ვარესტარტებთ ტერმინალს.

POS ტერმინალის Ingenico IWL250 გამოყენების ინსტრუქცია

ტერმინალის ინტერფეისი

ძირითადი ოპერაციების შესრულება

საწყის მდგომარეობაში ტერმინალის ეკრანზე აწერია: **AMOUNT**

ტერმინალის მენიუს გამოიძახებთ ტერმინალზე F1 ღილაკზე დაჭერით

ტერმინალის მენიუში მოძრაობის ღილაკია ეკრანის ქვევით მდებარე კურსორი

ტერმინალის მენიუში არსებული ქვე მენიუ აქტიურდება გასწვრივ მდებარე ციფრის კლავიატურაზე აკრეფით

ბარათის გატარება

მაგნიტურზოლიანი ბარათი მაგნიტური ზოლით ქვევით, ჩამოატარეთ მაგნიტური ბარათების წამკითხავ ღარში.
ჩიპური ბარათის შემთხვევაში ჩიპით წინ შეაცურეთ ჩიპური ბარათის წამკითხველის ჭრილში.
უკონტაქტო ბარათით გადახდის შემთხვევაში ბარათი უნდა მიიტანოთ ეკრანთან და დაელოდოთ ხმოვან შეტყობინებას.

გადახდა / PURCHASE

მწვანე ღილაკზე დაჭერით გამოვა მენიუ **თანხა AMOUNT 0,00 GEL**. შეიყვანეთ გადასახდელი თანხა, დააჭირეთ მწვანე ღილაკს შემდეგ გაატარეთ ბარათი. პინ-კოდის მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტმა უნდა შეიყვანოს პინ კოდი და დაადასტუროთ მწვანე ღილაკით. წარმატებული გადახდის შემთხვევაში ტერმინალიდან ამოიბეჭდება 2 ჩეკი. მოახევთ ერთ ჩეკს და დააჭერთ მწვანე ღილაკს. შემდეგ ამოიბეჭდება მეორე ჩეკი. გადახდა წარმატებით შესრულდა თუ ჩეკზე აწერია: **პასუხის კოდი: 000/ APPROVED, RESPONSE CODE: 000**

[უარყოფითი ოპერაციის შემთხვევაში ტერმინალიდან ამოიბეჭდება მხოლოდ ერთი ჩეკი.]

გაუქმება (რევერსალი) / VOID

კლავიატურაზე უნდა დააჭიროთ ღილაკს F1, შემდეგ დააჭირეთ ღილაკს 1 **„კლიენტი/Client“** დააჭირეთ ღილაკს 2 **„გაუქმება/VOID“** და დააჭირეთ მწვანე ღილაკს. ტერმინალის ეკრანზე გამოჩნდება წარწერა **„Invoice Num:”** შეგვყავს გასაუქმებელი ჩეკის ნომერი და ვადასტურებთ მწვანე ღილაკით, შემდეგ ვატარებთ ბარათს, ტერმინალიდან ამოიბეჭდება ჩეკი წარწერით **პასუხის კოდი: 400/APPROVED, RESPONSE CODE: 400**, მოახიეთ ქვითარი დააჭირეთ მწვანე ღილაკს ამოიბეჭდება მეორე ქვითარი

ანგარიშები / REPORTS

F1 ღილაკზე დაჭერით შედით მენუში. აირჩიეთ ქვემენიუ **სალარო** დაეთანხმეთ მწვანე ღილაკით აირჩიეთ თქვენთვის მისაღები ანგარიშის ტიპი

1 **მიმდინარე შედეგი** - (მოკლე რეპორტი)
2 **LOG-ის ბეჭდვა** - (სრული რეპორტი)

და დააჭირეთ მწვანე ღილაკს

ჩეკის ასლი / RECEIPT COPY

ბოლო ჩეკის ასლის ბეჭდვა
F1 ღილაკზე დაჭერით შედით მენუში. აირჩიეთ ქვემენიუ **სალარო** დაეთახმეთ მწვანე ღილაკით. დააჭირეთ ღილაკს 1 **(ქვითრის ასლი) RECEIPT COPY** და დაადასტურეთ მწვანე ღილაკით. ამოიბეჭდება ბოლო ჩეკის ასლი.

ასლის ბეჭდვა ქვითრის ნომრის მიხედვით
F1 ღილაკზე დაჭერით შედით მენუში. აირჩიეთ ქვემენიუ **სალარო** დაეთახმეთ მწვანე ღილაკით. დააჭირეთ ღილაკს 1 **(ქვითრის ასლი) RECEIPT COPY** ყვითელი ღილაკით წაშალეთ მიმდინარე ქვითრის ნომერი და ჩაწერეთ იმ ქვითრის ნომერი რომლის დაბეჭდვაც გსურთ შემდეგ დაადასტურეთ მწვანე ღილაკით.

შედეგების შედარება (დღის დახურვა) / SETTLEMENT

F1 ღილაკზე დაჭერით შედით მენუში. აირჩიეთ ქვემენიუ **სალარო.** დააჭირეთ ღილაკს 3 **(ცვლის დახურვა) SETTLEMENT.** დაეთანხმეთ მწვანე ღილაკით. ტერმინალი გადარესტარტდება და თავისით დადგება საწყის მდგომარეობაზე

ტერმინალის გადარესტარტება და დამატებითი ფუნქციები

- ტერმინალის დარესტარტება ხდება ყვითელ და წერტილზე ერთდროულად ხელის დაჭერით. როდესაც ტერმინალი გამორთულია კვების წყაროდან დარესტარტების შემდეგ უნდა დააჭიროთ მწვანე ღილაკს ტერმინალის ჩასართავად.
- ტერმინალის სოფტის დისტანციური ჩასხმა ხდება შემდეგი კომბინაციით: **F->Pass 0000->0(Telium Manager)->2 (Evolution)->2 (Remote Load)**
- წერტილზე დაჭერისას ტერმინალის ეკრანზე იწერება ბოლოს აკრეფილი თანხა.

როგორ მოვიქცეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში

ტერმინალის დაზიანების შემთხვევაში
დაუყოვნებლივ დარეკეთ საპროცესინგო ცენტრში; აცნობეთ თქვენი ობიექტის დასახელება, ტელეფონის ნომერი, თქვენი ვინაობა და დაზიანე-ბის შესაძლო მიზეზები.

ქვითრის ბეჭდვისას დამთავრდა ქაღალდი
ჩასვით ქაღალდის ახალი ხვეულა (იხ. ინსტრუქცია) და ამობეჭდეთ ქვითრის ასლი (იხ. ინსტრუქცია).

ტერმინალის ქაღალდის ხვეულას გამოცვლა.
ტერმინალისათვის საჭიროა სპეციალური თერმული ქაღალდის ხვეულა და მასზე ჩეკის ამობეჭდვა ხდება ისევე, როგორც ფაქსის ქაღალდზე. ახალი ხვეულას ჩასადებად უნდა გაიხსნას ტერმინალის ზედა კორპუსის თავსახური. ხელი დააჭირეთ ტერმინალის მარჯვენა გვერდზე განლაგებულ ისრიან ღილაკს და თავსახური თავისით გაიღება. ქაღალდის ახალი ხვეულა ჩადეთ ფოსოში ისე, რომ ქაღალდის ყუა ამოშვერილი უნდა იყოს თავსახურსა და დისფლეის შორის არსებულ კბილანებიან ღარში. ხელით ფრთხილად დახურეთ თავსახური.ღარიდან ამოშვერილი ქაღალდის ზომა რეგულირდება ტერმინალის ზედა კორპუსის ცენტრში განლაგებული ღილაკით ALPHA. მნიშვნელობა აქვს ქაღალდის ჩადების მიმართულებასაც - მისი ბოლო ქვემოდან (საქაღალდე ფოსოს ძირიდან) უნდა ამოყვეს ხვეულას.

ნებისმიერი სხვა შეფერხების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ შეატყობინეთ საპროცესინგო ცენტრს ტელეფონზე: **2 777 222**

კლიენტის ხმა

გთხოვთ, მოგვაწოდოთ შენიშვნები და წინადადებები ბანკის მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით:

- ტელ: +995 32 2 27 27 27
- ელ-ფოსტა: info@tbcbank.ge
- წერილების ყუთი ფილიალებში